ევროკავშირი
საქართველოსთვის

# არა ძალადობას!

**ძალადობის ნებისმიერი ფორმა მიუღებელია, არღვევს ადამიანის უფლებებს, ღირსებას და საფრთხეს უქმნის ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას.**

*თუ ფიქრობთ რომ თქვენზე ან სხვა ადამიანზე ძალადობენ, შეგიძლიათ მიმართოთ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:* **112**



*ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზი:* **116 006**

*თუ უწყებების მხრიდან არ განხორციელდა დროული და შესაბამისი რეაგირება შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს სახალხო დამცველს:* **14 81**

# რა არის ძალადობა?

**ფიზიკური ძალადობა** - დარტყმა, ცემა, თმის მოქაჩვა, ჯანმრთელობის დაზიანება ან სხვა ისეთი ქმედება, რაც ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას იწვევს.

**ფსიქოლოგიური ძალადობა** - სიტყვიერი შეურაცხყოფა, გინება, მუდმივი კრიტიკა, დამამცირებელი ფრაზების თქმა ან სხვა ისეთი ქმედება, რაც ადამიანის პატივსა და ღირსებას ლახავს.

**სექსუალური ძალადობა** - პირის (მათ შორის, მეუღლის) მიერ ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით სექსუალური კავშირის დამყარება ან ნებისმიერი სახის სექსუალური ქმედება.

**ეკონომიკური ძალადობა** - როცა მეუღლე/პარტნიორი ან ოჯახის სხვა წევრი ადამიანს უკრძალავს მუშაობას, აკონტროლებს მის შემოსავალს, უზღუდავს სახლზე, საკვებსა თუ საცხოვრებელ ნივთებზე წვდომას.

**იძულება** - ადამიანისთვის ახლობლებთან ურთიერთობის აკრძალვა ან ნებისმიერი ქმედების განხორციელება ან განხორციელებისგან თავის შეკავება მისი ნების საწინააღმდეგოდ.

**ადევნება** - ადამიანის ნების საწინააღმდეგოდ, მასთან სოციალური ქსელების თუ სხვა გზებით კომუნიკაციის დამყარება, თვალთვალი, საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას დახვედრა, რაც ცხოვრების წესის მნიშვნელოვან ცვლილებას იწვევს.

ზემოაღნიშნული ძალადობის ფორმები შესაძლოა ჩადენილი იყოს როგორც პირისპირ, ისე სოციალური ქსელების ან სხვა ციფრული არხების გამოყენებით.

***საზოგადოების არც ერთი წევრი არ უნდა შეეგუოს მის ან სხვა პირის მიმართ განხორციელებულ ძალადობას!***

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახალხო დამცველის აპარატი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს